პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 17 ივლისი, 1943 წ. № 151 (6776). ფასი 20 კაპ.

მამაცობა, სიმჯერეცე და მხედრული უნარი

თორმეტი დღის წინათ გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ თავისი ჯარები გენერალურ შეტევაზე გადმოიყვანა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მტერი დიდ ხანს და გულდასმით ამზადებდა თავის შემოტევას. ფრონტის ვიწრო უბანზე მან თავი მოუყარა დიდძალ ქვეითსა და ჯავშანსატანკო ჯარებს. გერმანელები ვარაუდობდნენ თავიანთი ჯავშნიანი მუშტით, ავიაციით, ცოცხალი ძალით შეემუსრათ საბჭოთა თავდაცვა და სერიოზული ოპერატიული შედეგებისათვის მიეღწიათ პირველსავე დღეებში.

მტრის ცდა—განეხორციელებინა თავისი ავანტიურისტული განზრახვანი—წაწყდა საბჭოთა მებრძოლებისა და მეთაურების მამაცურსა და მტკიცე თავდაცვას, მხედრულ ოსტატობას.

მტრის ახალმა შემოტევამ მოუმზადებელს როდი მოუსწრო წითელი არმიის ნაწილებს. საბჭოთა ხალხმა, მისმა წითელმა არმიამ იცოდნენ, რომ მტერს შეუძლია კიდევ წამოიწყოს ახალი ავანტიურები, რომ, წინასწარ გრძნობს რა თავის დაღუპვას, მას შეუძლია დაჭრილი მხეცივით გამოექანოს ჩვენი ზღუდეების საიერიშოდ. სრულებდნენ რა უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებას, წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები შეუპოვრად და დაჟინებით სწავლობდნენ, იმაღლებდნენ მხედრულ უნარსა და ოსტატობას და ჰიტლერელ დამპყრობლებთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ.

ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში წითელი არმიის მეომრებმა ერთხელ კიდევ უჩვენეს მთელ მსოფლიოს მამაცობისა და გულადობის შესანიშნავი ნიმუშები. თავისი საგმირო საქმეებით ათასობით მეომრებმა — ტანკისტებმა, არტილერისტებმა, ქვეითებმა, მესანგრეებმა, მფრინავებმა — თავიანთი სახელები ჩასწერეს ოცდარვა გმირი გვარდიელის, ხუთი შავზღველი მეზღვაურის და ყველა იმის გვერდით, ვინც მამაცურად იცავდა ოდესას, ლენინგრადს, სევასტოპოლს, სტალინგრადს.

ომების ისტორიას ჯერ კიდევ არ ახსოვს ისეთი მაგალითები, როცა საომქმედოდ გამოყვანილი ყოფილიყო თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის ესოდენ უდიდესი რაოდენობა. საკმაოა ითქვას, რომ ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებით წარმოებულ მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 2.800-ზე მეტი ტანკი, 1.300-ზე მეტი თვითმფრინავი. სისხლისაგან დაცლილი მტერი ორიოლ-კურსკის მიმართულებით თავდაცვაზე გადავიდა.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „ომის მსვლელობაში წითელი არმია კადრის არმია გახდა. მან ისწავლა მტრის წინააღმდეგ აუცდენლად დარტყმა მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე სამხედრო მეცნიერება“. გერმანელებმა თავიანთ ტყავზე იგრძნეს საბჭოთა მეომრების განუზომლად გაზრდილი ოსტატობა. წითელი არმიის ოფიცრებმა ისწავლეს უნარიანად ჰფუშონ მტრის ბუნკერები, ურტყან მის მგრძნობიარე ადგილებს, საქმის ღრმა ცოდნით უხელმძღვანელონ ბრძოლას, თავიანთ ხელში ჰქონდეთ მმართველობის ძაფები.

საბჭოთა მიწა-წყლისათვის გააფთრებული ბრძოლების ცეცხლში წითელი არმიის რიგებში გამოიზარდა ჯარების წინამძღოლობის ათიათასობით ნამდვილი ოსტატი. გამომუშავდა და ჩამოყალიბდა ტიპი მებრძოლი საბჭოთა ოფიცრისა, რომლის პიროვნებაშიც მოწინავე სამხედრო აზრი შეხამებულია მდიდარ საბრძოლო პრაქტიკასთან; ტიპი მეთაურისა, რომელსაც უნარი აქვს შემოქმედებით აითვისოს ომი, გულხმიერად შეამჩნიოს მასში ყოველივე ახალი და სწრაფად გამოიყენოს ეს ახალი; ტიპი შემოქმედი მხედრისა, რომელსაც სამხედრო ხელოვნებაში შეაქვს რაღაც ახალი, საბრძოლო პრაქტიკით ნაკარნახევი.

საბჭოთა ხალხი ყოველ დღე გებულობს თავისი მამაცი მეომრების სახელებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავიანთი მამაცობით, გმირობით, სიმტკიცით ჰიტლერელ ავაზაკებთან ბრძოლაში. ჩვენ ვამაყობთ საარტილერიო ბატარიების მებრძოლებით, რომლებმაც მოიგერიეს მტრის ტანკების გაცოფებული შემოტევა, აღტაცების გრძნობას იწვევენ მეომრები, რომლებიც ბოლომდე ასრულებენ თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე და ულმობლად სპობენ მტრის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას.

საბჭოთა ხალხმა დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით შეიტყო წითელი არმიის ნაწილების გადასვლა შეტევაზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ორიოლის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით. ეს ამბავი აღაფრთოვანებს ზურგის მშრომელებს, რათა კიდევ უფრო თავდადებით იმუშაონ წითელი არმიისათვის, აღაფრთოვანებს საბჭოთა მეომრებს საყვარელი სამშობლოს გულისათვის ახალ საგმირო საქმეთა ჩასადენად.

ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვის ზოლი 40 კილომეტრ მანძილზე ფრონტით და სამი დღის ბრძოლების განმავლობაში 45 კილომეტრით შეაღწიეს მტრის განლაგების სიღრმეში ორიოლის ჩრდილოეთით მდებარე უბანზე.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა აგრეთვე გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვის ზოლი 30 კილომეტრზე ფრონტით და, სძლიეს რა გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, 20-25 კილომეტრით წაიწიეს წინ. გარღვეული აღმოჩნდა მტრის თავდაცვის ხაზი, რომელსაც იგი წელიწადნახევარზე მეტ ხანს ჰქმნიდა.

სამი დღის შეუპოვარი ბრძოლების მსვლელობაში წითელი არმიის ნაწილებმა ჰიტლერელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მტერს სერიოზული ზარალი მიაყენეს. ბრძოლებში დამარცხებულია მტრის სამი ქვეითი და ორი სატანკო დივიზია. გარდა ამისა, გერმანელთა სამ ქვეითსა და ორ სატანკო დივიზიას ძლიერი დამარცხება აგემეს. სამი დღის ბრძოლების განმავლ

ჩვენ მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე

უფროსი ლეიტენანტი
კირილე თოდუა

პოლიგმუშაკის საბრძოლო გზა

კირილე თოდუა ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში მუშაობდა. ომი რომ დაიწყო, იგი გაიწვიეს ჯარში და ზარიცხეს რიგით წითელარმიელად. თოდუამ პირველი დღეებიდანვე ბოლშევიკურად მოჰკიდა ხელი სამხედრო საქმის ოსტატი გახდა. გაფთრებულ ბრძოლებში იგი გამოიჩინა და გაიზარდა კარგ პოლიტიკურ მუშაკად, დაიმსახურა მებრძოლებისა და მეთაურების ნდობა და სიყვარული.

მან პირველსავე ბრძოლაში ისახელა თავი. შემდეგ დანიშნეს პარტორგად და წარადგინეს სამხედრო წოდებაზე.

მამაცი კომუნისტი მებრძოლის წინაშე გაჩაღებულ მოქმედების ახალი ფართო სარბელი. თოდუა კარგად იცნობდა ქვეგანაყოფის ყველა მებრძოლს. მან სანიმუშოდ დაიყენა მათთან პარტიულ-კომკავშირული მუშაობა, ზრდიდა და ამზადებდა მათ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

6 დასახლებული პუნქტისათვის გაიფთრებული ბრძოლები გაიმართა. მტერმა ქვეგანაყოფს ერთდროულად დაუშინა ყველა სახის იარაღის ცეცხლი. მიწა არყეოდა. ირგვლივ ცეცხლი და კვამლი იდგა. მაგრამ ქვეგანაყოფის მებრძოლები იდგნენ შეუფრეველად, თოდუას მიერ აღზრდილი და დარაზმული კომუნისტების გარშემო შემჭიდროებულნი.

ამ მძიმე წუთებში დაიჭრა ქვეგანაყოფის მამაცი მეთაური ამხ. კრიმიუკი. მდგომარეობა გართულდა. და აი ამ გადამწყვეტ მომენტში ბრძოლის ხელმძღვანელობა იკისრა ამხ. თოდუამ.

ასეული ზედიზედ იგერიებდა გამზეცებულ ჰიტლერელთა შემოტევებს, ხოლო მეფიანი ნიწყნარების შემდეგ შეტევაზე გადავიდა. თოდუამ სწრაფად გამოაყო დამკვრელი ჯგუფი, რომელმაც დაარტყა მტერს მთავარი მიმართულებით, გაარღვია მტრის პოზიცია და შეუქმნა მას სახიფათო მდგომარეობა. მტერი იძულებული იყო უკან დაეხია. ამ ბრძოლაში მტერმა დაჰკარგა 30-ზე მეტი ჯარისკაცი, 3 დაზგის ტყვიამფრქვეველი და 50 შაშანა. ასეულმა თოდუას მეთაურობით მოიგო ბრძოლა

ამის შემდეგ სარდლობამ თოდუა დანიშნა ბატალიონის მეთაურის თანაშემწედ პოლიტნაწილში და მიანიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება. ამ პოსტზე მან განაგრძო ენერგიული მუშაობა და გამოიჩინა სიმამაცე და გამბედაობა.

ცოტა ხნის წინათ ბატალიონი ბრძოლას აწარმოებდა, შეტევაზე გადავიდა და 5 კილომეტრით წაიწია წინ. მაგრამ ჰიტლერელებმა მალე მოიშველიეს ძალები და, მოიპოვეს რა რიცხვობრივი უპირატესობა, კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. 5 დღე-ღამე გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. ბატალიონის მეთაური კაპიტანი ჩხეიძე დაეცა გმირის სიკვდილით. თოდუამ დაუყოვნებლივ იკისრა მეთაურობა და განაგრძო ბრძოლა. მებრძოლთა მაღალმა მორალურმა განწყობილებამ და სიმტკიცემ ვადასწყვიტა ბრძოლის ბედი ჩვენს სასარგებლოდ. მტერმა ვერ გაუძლო ჩვენს მიძალებას და უკუიქცა.

სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა ამხ. კირილე თოდუას მოქმედებას და დაჯილდოვა იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით.

უფროსი ლეიტენანტი ი. კეზერაშვილი

ლეიტენანტ დ. მღინარაძის მებრძოლთა სიმამაცე

ერთ-ერთი მძაფრი ბრძოლის დროს მებრძოლთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ლეიტენანტი დავით მღინარაძე მეთაურობდა, აღმოჩნდა ბატალიონს მოწყვეტილი. მაგრამ მებრძოლები განაგრძობდნენ მტერთან ბრძოლას. ლეიტენანტი მღინარაძე სიმამაცის პირადი მაგალითით ამხნევებდა მებრძოლებს.

მებრძოლებმა განსაცვიფრებელი სიმამაცე გამოიჩინეს, როცა გერმანელები გრანატებს გამოსტყორცნიდნენ, მებრძოლები ხელით იჭერდნენ მათ და უკანვე სტყორცნიდნენ გერმანელებს.

დავით მღინარაძემ პირადად დაიჭირა ხუთი გრანატი, უკანვე სტყორცნა ისინი ჰიტლერელებს და მოსპო რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ლეიტენანტმა მღინარაძემ თავისი მებრძოლებით, მიუხედავად იმისა, რომ ბატალიონს მოწყვეტილი იყო, ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია უკან და მტერს არ დაუთმო არც ერთი მტკაველი სამშობლო მიწა.

მაიორი ნ. კუზმინი

ხელმძღვანელ ოფიცრებს!

წინ სამშობლოსათვის

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია დღეს აქვეყნებს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთის მიერ—„წინ სამშობლოსათვის“ დამზადებული გვერდის მასალებს.

საფრონტო გაზეთი „წინ სამშობლოსათვის“ უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს „კომუნისტის“ მასალებს თემაზე: „საქართველოს მშრომელები აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას“.

უმცროსი ლეიტენანტი აკაკი ხუჯაძე

შესანიშნავი გზა განვლო ჩვენი ფრონტის ერთ-ერთმა საუკეთესო სნაიპერმა აკაკი ხუჯაძემ. 22 წლის ქუთაისელი ჭაბუკი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე იბრძვის სამშობლოს დასაცავად. მზვერავ-წითელარმიელიდან მან მიაღწია მზვერავთა ოცეულის მეთაურობამდე. მის ანგარიშზე ითვლება 150-მდე მოკლული ჰიტლერელი.

ახალგაზრდა მამაცი მებრძოლის ცხოვრება სავსეა მრავალი საგმირო მაგალითებით. იგი არასოდეს არ დაბრუნებულა ხელცარიელი ჰიტლერელებზე ნადირობიდან. მონაწილეობას იღებდა ოდესის გმირულ დაცვაში, შავი ზღვის სანაპირზე მუსრს ავლებდა ფაშისტებს და ახლა უკრაინის განთავისუფლების სახელოვანი მონაწილეა.

1943 წლის პირველ დღეს მან ხუთი ზუსტი სროლით 5 გერმანელი მოჰკლა და 101-დე აიყვანა თავისი ანგარიში.

გამბედავი ქართველი მებრძოლი არაერთხელ შეჭრილა მტრის ზურგში, შეუკრავია ძვირფასი ცნობები მოწინააღმდეგეზე, წამოუყვანია „მოენები“.

ხუჯაძის სნაიპერული შაშხანა რისხვად მოევლინა ჰიტლერელებს. მამაცი სნაიპერი სრულყოფილად დაეუფლა ავტომატს, ტყვიამფრქვევს, ქვემეხის მარჯვედ სროლას.

ერთხელ მან 8 მებრძოლით ზღუდეზე გამაგრებულ მტერს ზურგიდან მოუარა, სასტიკი სროლა აუტეხა და მის რიგებში პანიკა შეიტანა. ამით ისარგებლა ჩვენმა ბატალიონმა და იერიშზე გადავიდა. გაქცეულ მტერს ხუჯაძე ჩაუსაფრდა და მუსრი გავლო. ბატალიონმა ბრძოლა წარმატებით დაამთავრა.

გერმანელმა სნაიპერმა ჩვენი პოლიტხელი დასჭრა, ხუჯაძემ გადასწყვიტა შური ეძია. მაზარა ჩალით გასტენა, ხესთან მებრძოლივით დაიყენა და თვით ახლოს ჩასაფრდა. გერმანელმა მაზარას სროლა აუტეხა. თავი გამოამეღოვანა. ხუჯაძის ტყვიამ მას შუბლი გაუხვრიტა.

კრასნოდარისათვის ბრძოლაში ხუჯაძემ ახალი გმირობა ჩაიდინა. იგი ავტომატით იბრძოდა და 3 საათის განმავლობაში 18 ჰიტლერელი მოსპო.

„გმირთა მაღლობანთან“ ბრძოლაში იგი რამდენიმე მებრძოლით დაზვერვაში წავიდა. ტყის პირად მიტოვებული გერმანელთა ქვემეხი და მრავალი ყუმბარა იპოვნა. სწრაფად მოისაზრა: ქვემეხის პირდაპირი დამიზნებით ხვეში ჩასაფრებულ გერმანელთა ასეულს ცალი ხელი აუტეხა და გაჰფანტა, მტერმა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა გამოჩენილი მზვერავ-სნაიპერის საბრძოლო თავდადებას და გმირობას და დაჯილდოვა იგი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლით „მამაცობისათვის“.

გვარდიის 6 ნაწილის მებრძოლები და მეთაურები აღტაცებით წარმოსთქვამენ უმცროს ლეიტენანტ აკაკი სიმონის-ძე ხუჯაძის სახელს. სახელოვანი ქართველი მებრძოლი ყუბანის ველებზე დაუნდობლად ჟლეტს და ანადგურებს ვერაგ მტერს, ვაკაკუნად იცავს საყვარელ სამშობლოს.

უფროსი ლეიტენანტი ნ. აგბიაშვილი

შოფერი ბიკენტი ონნისიმეს-ძე ჭარბაძე

ამხ. ჭარბაძე მტრის ცეცხლის ქვეშ სისტემატურად აწვდის მოწინავე ხაზზე მყოფ მებრძოლებს საომარ მასალას. საგანგებო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის იგი დაჯილდოებულია „სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით“.

* * *

ევა მიხეიხის-ასული გიგაური

ასეულის მამაცი სანინსტრუქტორია. მტრის სასტიკ ცეცხლქვეშ, რთულ და ძნელ საბრძოლო პირობებში, მას ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა დაჭრილი მებრძოლები და მეთაურები. სიკვდილს გადაარჩინა მრავალი ადამიანი. მამაცობისა და თავდადებული მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

უფროსი ლეიტენანტი ვ. საღარიძე

სათავეში ჩაუდგა ბლოკირებულ ჯგუფს, კონტრიერიშზე გადავიდა მტრის წინააღმდეგ, შეიჭრა მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტში და მოსპო ერთ ოცეულამდე ჰიტლერელები. მეორე ბრძოლაში ხელთ იგდო სამი დაზგის ტყვიამფრქვევი და მოკლა 7 ფაშისტი. ამხ. სალარიძე დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

წითელარმიელი ნ. კაღარია

თავგანწირულად შეავარდა საარტილერიო დუელის შედეგად ცეცხლმოდებულ საომარ მასალის საწყობში, ჩააქრო ცეცხლი და აფეთქებას გადაარჩინა დიდძალი ყუმბარები. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

როგორ მოვსპე ორი ჭანკი

გუნდის მეორე ნომერთან—გამოცდილ წითელარმიელ შაკინთან ერთად დავიკავე საცეცხლე პოზიცია მაღალ ბალახში. ამ დროს ბორცვის გადალმიდან მოისმა მოტორების გუგუნი. მალე გამოჩნდა 8 ტანკი. უცბად ტანკები შეჩერდნენ და იწყეს ადგილიდან სროლა.

ბალახში შენიღბულნი ხოხვით მივუახლოვდით ტანკებს 70-100 მეტრზე. პირველად მე გავისროლე. წამსვე გაიხსნა ლიუკი, ავარდა ბოლისა და ცეცხლის სვეტი. დანარჩენი ტანკები უკან გაბრუნდნენ.

ჩემს ამხანაგს თვალები უბრწყინავდა პირველი გამარჯვების სიხარულით. მაგრამ ბრძოლა ჯერ არ იყო დამთავრებული. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ გამოჩნდნენ მტრის ტანკები. ახლა ისინი მიდიოდნენ გზის განაპირას, ჩვენ მხარს გვიცავდნენ. მე ვესროლე ერთ-ერთი ტანკის ქიმს. იგი ერთბაშად გაეხვია ბოლში და შეჩერდა.

ჩვენს ახლოს მოქმედებდა სერჟანტ კარატეევის გუნდი. მათი ზუსტი სროლით ცეცხლი წაეკიდა კიდევ ერთ ტანკს. გამოცდილებით ვიცით, როცა ცეცხლი მოედება რამდენიმე ტანკს, გერმანელები გარბიან. ამ ბრძოლაშიც ასე მოიქცნენ, შეტევაზე გადმოსულმა ტანკებმა პირი იბრუნეს და უკან დაიხიეს.

გვარდიის უფროსი სერჟანტი ა. ჯავახია

მეავტომატეთა ჯგუფი მტრის ზურგში

მეავტომატეთა ჯგუფი უფროს სერჟანტ კვირკველიას მეთაურობით შეიჭრა მტრის თავდაცვაში. ლაჭაშებში აღმოჩენილ იქნა გერმანელთა ასეული, რომელიც ნაგს ამზადებდა წყალში ჩასაშვებად. ისინი შეიარაღებული იყვნენ შაშხანებით, ჰქონდათ 2 ტყვიამფრქვევი.

უფროსმა სერჟანტმა კვირკველიამ გადასწყვიტა თავისი მეავტომატეებით უეცრად დასხმოდა თავს გერმანელებს. მეავტომატეები ლაჭაშებში მალულად მიუახლოვდნენ გერმანელებს და ერთბაშად დაუშინეს ტყვია. ჰიტლერელები დაიბნენ და უწესრიგოდ გაიფანტნენ ისე, რომ ვერც კი მოასწრეს იარაღის გამოყენება.

მეავტომატეებმა მოსპეს ოცეულამდე ჰიტლერელი, ხელთ იგდეს ორი ტყვიამფრქვევი, რამდენიმე შაშხანა და უდანაკლოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

უმცროსი ლეიტენანტი ა. შონია

ორდენოსანი მაიორი ვ. გეგეჭკორი თავის მებრძოლებსა და მეთაურებს აბარებს მთავრობის ჯილდოებს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის. **სურათზე:** სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენის გადაცემა ტანკის მექანიკოს-მძღოლ უფროს სერჟანტ პ. ჩერნოვანოვისათვის.

ფოტო ი. გორბატიუკისა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

(დაბადებიდან 50 წლის თავის შესრულების გამო)

დღეს, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა ჰიტლერელთა კანიბალური ურდოების წინააღმდეგ, როცა ხალხის თელი უსაზღვრო შემოქმედებითი ენერგია დაპყრობილი და მობილიზებულია იმისათვის, რათა აღვავოს ბრძოლაში მიწისა კაცობრიობის საშინელი მტრები—ფაშისტი არამზადები — ამ უმაგალითო ბრძოლის დღეებში თვალი თავისი სიდიადით დგას ჩვენს წინ ტემბერაზული ფიგურა ვლადიმერ მაიაკოვსკისა—რევოლუციის გენიალური პოეტისა; ის, როგორც მარად ცოცხალი თავისი მეზნეობარე ლექსებით, თავისი უსაზღვრო სიყვარულით სამშობლოსადმი, თავისი მრისხანე სიძულვილით მტრისადმი, კვლავ ჩვენს მებრძოლ, ფოლადისებურად შემჭიდროებულ რიგებშია. მაიაკოვსკი ხომ იმასა ნატრობდა—პოეტის კალამი მინდა ხიშტს გავუთანაბროო, და დღეს მართლაც მისი ლექსები ჰქუხან ჩვენს ზარბაზნებთან ერთად, მისი სტრიქონები იბრძვიან, ისინი შთაგვაგონებენ, გვაძლევენ, გვეხმარებიან; იმ ადამიანების იდეურ და მორალურ აღზრდაში, რომელნიც დღეს საბჭოთა სამშობლოს იცავენ, მაიაკოვსკის პოეზიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ეს იყო პოეტი ბოლშევიკური სტილისა, პოეტი ახალი ეპოქისა და ამტომაც მისცა ხას დიდმა სტალინმა ეპოდენ მაღალი შეფასება: „მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერეს პოეტადო“.

არა მარტო იყო, არამედ რჩება კიდევაც —როგორც დიდი ბელადი გვასწავლის. ამიტომ მაიაკოვსკის ლექსები დღესაც კვლავ იბრძვიან.

პოეტის სიდიადე მუდამ ხალხის მისადმი სიყვარულით გაიზომება. განუზომელია მაიაკოვსკისადმი, როგორც პოეტისადმი, სიყვარული ჩვენს ქვეყანაში. ის აღვივებდა ჩვენს გულში პატრიოტიზმის სანუკვარ გრძნობას. მისი ლექსები უხილავი, მაგრამ მტკიცე და განუწყვეტელი ძაფებით დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანის სულთან, ნებისყოფასთან, როგორც უღრეესად მშობლიური და მახლობელი მოგონება. პოეტი, როგორც ადამიანის სულის ინჟინერი, განამტკიცებდა ჩვენს შეგნებაში თავისი „საბჭოთა პასპორტით“, თავისი პოემით „კარგია“, თავისი „მთელი ხმით“ და სხვა მრავალი და მრავალი ლექსითა და პოემით ბოლშევიკურ მგზნებარებას, ამტანობას გაჭირვებაში, თავგანწირვას ხალხის საკეთილდღეოდ. ეს გრძნობა—პატრიოტიზმის გრძნობა,—რომელსაც ლენინისა და სტალინის გენიით შთაგონებული მაიაკოვსკი უმღეროდა, მთელი ძალით სჩქეფს მამაცი წითელი არმიის ადამიანებში. ამ გრძნობით არიან აღსავსენი სახელოვანი ტანკისტები და არტილერისტები, მფრინავები და ქვეითი მებრძოლები, მხედრები და მესანგრენი, ყველა ვინც თავის ხელით ჭქმნის ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას.

ჩვენ სწორედ იმიტომ ვაფასებთ მაიაკოვსკის, იმიტომ გვიყვარს იგი, რომ ამ გრძნობის—საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდაში და გაფურჩქვნაში მისმა ლექსებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. მაიაკოვსკიმ შეჰქმნა ახალი ტრადიციები პოეზიაში, და პირველ რიგში მტკიცედ და განუყრელად დაუკავშირა მხატვრული სიტყვა ხალხის ბრძოლას, დამუშაობის პოლიტიკურ ამოცანებს. მაიაკოვსკი, როგორც ადამიანი და როგორც პოეტი, საუცხოო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს მწერალი თავის ხალხთან ერთად. სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა გამსაცდელში იყო და ბერძნელი იმპერიალისტების მხეცური ურდოები ლამობდნენ ჩვენი მიწა-წყლის დაპყრობას და ჩვენი ხალხის დამონებას, მაიაკოვსკი იბრძოდა თავისი კალმით, როგორც თავისუფლების სახელოვანი არმიის ჯარისკაცი, როგორც საბჭოთა სამშობლოს ხმატვრული ტრიბუნი. მაღალხარისხოვანი ლექსებისა და პოემების გარდა მაიაკოვსკიმ მაშინ სამი ათასამდე პლაკატი შეჰქმნა და ექვსი ათასზე მეტი მხატვრული ლოზუნგი დასწერა. ჭეშმარიტად ეს იყო სამი ათასი ტყვია და ექვსი ათასი ყუმბარა, რომელნიც რუსული შაშხანის ტყვიებთან ერთად ხმაშეწყობით იბრძოდნენ რევოლუციის მტრების წინააღმდეგ.

ამ მხრივ, მწერლის საფრონტო მუშაობის მხრივ, მაიაკოვსკის მაგალითი დღეს საბჭოთა მწერლებისათვის მისაბაძი უნდა გახდეს. სამოქალაქო ომის დროს მაიაკოვსკი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაზეთებში, მუშაობდა „როსტაში“, სწერდა საფრონტო ლოზუნგებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას შეექმნა იმავე დროს დიდი ეპიური ტილონები, დიდი ქმნილებანი. პირიქით, სწორედ ეს პრაქტიკული, ეს „შავი სამუშაო“ აწრთობდა მას, აახლოებდა ცხოვრებასთან. საბჭოთა მწერალს ყოველ წუთს უნდა ახსოვდეს მაიაკოვსკის სტატიები: „რევოლუციის — ეს ომია“, „ომი ომია“ და „ომგადაგი“. სამამულო სიტყვა, საფრონტო ლექსი, ერთდროულად ავტორი ცოცხალი რადიოგადასცემისა, ლაბანი ლექსი—გაკრული ტრამვაის ვაგონზე — თანაბარი და ხანდახან უძვირფასესი ნიმუშებია პოეზიისა“.

დღეს, დიდი სამამულო ომის ეპოქაში, საბჭოთა პოეტმა სწორედ ამ ამოცანების განხორციელებაზე უნდა გადაიტანოს ყურადღება, რომლებზედაც მაიაკოვსკი მიგვითითებს. სწერო ფრონტის ადამიანებისათვის, სწერო ბასური და ფხიანი სტრიქონები კედელზე ვასაკერელად—ესეც ბერელხარისხოვანი პოეტური მუშაობაა, რომელსაც სამშობლოს დაცვის ინტერესები მოითხოვენ.

ვისწავლოთ მაიაკოვსკისებურად დარტყმა მტრისათვის ბასრი და ფხიანი პოეტური სიტყვით! გავიხსენოთ, როგორ ჩამოაყალიბა ნიდაბი თავის ლექსებში მაიაკოვსკიმ გაფლურებულ ფაშისტებს. ამ ლექსებში პოეტმა ამხილა კაცობრიობის ეფრავი მტრების, შაბენელი სახეები. მაიაკოვსკის მთელი არსებით სძულდა ფაშიზმი, როგორც მტერი კულტურისა, მტერი ხალხისა. პოეტი თავის გრძნობებს მაღალხარისხოვან, მხატვრულად ძლიერ ლექსებში ანხორციელებდა. ეს ლექსები დღესაც უკვდავი არიან. ისინი ღრმად არიან გამსჭვალულნი მრისხანე სიძულვილით ამ ველური ჩაგრისადმი, რასიული კაციჭამიობისადმი, რომელსაც სახელად ფაშიზმი ეწოდება.

თავის ლექსში „დასავლეთის ფრონტზე მშვიდობაა“, რომელშიაც პოეტი აფრთხილებდა მტაცებლური ომის დაწყებამ, მაიაკოვსკი თითქოს უშუალოდ ეხმაურება დღევანდელ სამამულო ომის მშფოთვარე დღეებს, როცა მთელი მოწინავე კაცობრიობა აღსდგა მშვიდობიანობის და სამართლიანობის დასაცავად. ეს მრისხანე გაფრთხილება მაიაკოვსკის ლექსებში, გაფრთხილება მტაცებლური ომის დაწყებისა მიმართ დღეს განსაკუთრებით მძაფრად ისმის. სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა მაიაკოვსკის ლექსებში ყოველთვის დაკავშირებულია რევოლუციურ სიფხიზლესთან. მობილიზაციური მზადყოფნა პოეტის ლექსებში მუდამ ცოცხალი, მღვიძარე და გამახვილებული იყო. ამიტომ სწერდა ის:

„не будь,
товарищ,
слепым и глухим!
держи,
товарищ,
порох сухим!“

მაიაკოვსკის პოეზიის მთავარი თემა იყო სამშობლო, დიდი დედაქალაქი მოსკოვი, პოეტისათვის ძვირფასი და გულიდან გაუშორებელი იყო ყოველი კუთხე სამშობლო მიწისა, ის ზრდიდა ამ მიწისადმი სიყვარულს, ის ლექსებსა და პოემებში მგზნებარედ ეღეროდა ლენინ-სტალინის დიად პარტიას, რომელმაც თავისუფლების უკვდავი გაზაფხული გაუთენა ჩვენს ქვეყანას.

ამიტომ სწერდა პოეტი ბოლშევიკური პარტიის შესახებ:

„პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლასის
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია“.

მაიაკოვსკის პოეზია იყო და არის ჩვენი უკვდავი საქმის გამარჯვებისათვის, სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებისათვის მებრძოლი მხატვრული ძალა. სწორედ ამიტომ აფასებს თავის საყვარელ პოეტს მთელი საბჭოთა ხალხი, ამიტომ იგონებს მას ყოველი ადამიანი ბოლოდ და ფულითადი სიყვარულით.

ზ. ნატროშვილი

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 16 ივლისი (საკვლევი). ახლო აღმოსავლეთის მოკავშირეთა სამხედრო საჰაერო ძალების შტაბი იუწყება, რომ 15 ივლისს დღისით მოკავშირეთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მთავარ აეროდრომზე და ორ დამხმარე აეროდრომზე ფოჯში (სამხრეთი იტალია). ბევრგან გაჩნდა ხანძარი და მოხდა აფეთქებანი.

15 ივლისს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ პეეის საავტომობილო ქარხანას მონბელიარში (საფრანგეთი). იერიში კონცენტრირებული და ეფექტური იყო. ამავე დროს მიტანილ იქნა იერიში სატანსფორმატორო და განმანაწილებელ ქვესადგურებზე ჩრდილოეთ იტალიაში.

14 ივლისს თავს დაესხნენ მესინის ნაპოლგურს და სარკინიგზო კომუნიკაციებს, იმავე დღეს მიტანილ იქნა იერიში მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე ენნის რაიონში (სიცილიის ცენტრალური ნაწილი).

ჰიტლერელი ხელისუფალნი წინადადებას აძლევენ გერმანელებს „ბეჩუმდნენ, რომ თავიანთი თავი შეიარჩინონ“

სტოკჰოლმი, 16 ივლისი (საკვლევი). გერმანიის ქალაქებზე მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმებთან დაკავშირებით გერმანელი ხელისუფალნი შეშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ მოსახლეობა „შეუსაბამოდ“ იტანჯება. ამ ცოტა ხნის წინათ ჰიტლერულმა გაზეთმა „ბრემერ ნახრიხტენმა“ გამოაქვეყნა სტატია ბრემენის „ჰაფლიტერ“ შეშფოთნისა, რომელიც უმაყოფილებას გამოსთქვამს ქალაქის მოსახლეობის ყოფაქცევის გამო. მისი სტატიით, ბრემენის საპაერო თავდაცვას ბევრი რამ აკლია, მაგრამ მის გასაუმჯობესებლად რაიმე ზომების მიღება მუშახელის ნაკლებობის გამო შეუძლებელია. მოსახლეობა კი უფულებელჰყოფს ხელისუფალთა ლონისძიებებს და ამჯობინებს, როგორც შეიტანა ამბობს, „ბეჭულხარეფილი უცქირის იმას, თუ როგორ იწვის მისი სახლი“. ბრემენელთა ყოფაქცევა შეშფოთნის გაფთრებას იწვევს, და ის მოითხოვს „ჩასვან უსაქმურნი და ოპოზიციონერები სადაც ჯერ არს“. ემუქრება ბრემენის მოსახლეობას, რომელიც „ჩაჭიდება ხოლმე ხმებს და სხვადასხვა მოსახრებებს გამოსთქვამს“. ჰიტლერელი წინადადებას აძლევს გერმანელებს „დაიცვან სიფრთხილე, რომ თავიანთი თავი შეიარჩინონ“.

უცხოეთის ქრონიკა

ჰაიფაში გამოიტანეს განაჩენი მთელი რიგი ჰოლანდიელი პატრიოტების საქმეზე, რომელთაც ბრალი დასდეს დიდი დივერსიის ცდაში. ბევრ ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მოუსაჯეს. განაჩენში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ საქმეში სტუდენტთა და მასხრიობთა მნიშვნელოვანი წრეები მონაწილეობდნენ.

* * *

ავსტრალიის სამხედრო ხარჯები ამჟამად აღემატება მილიონნახევარ გირვანქა სტერლინგს დღეში.

* * *

ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკული მასალებისაგან აგებული ქარხნები უკვე ამუშავდა. ყოველ შემთხვევაში, ორი ამ ქარხანათაგანი თვითმფრინავებსა და ტანკებს ამზადებს.

* * *

15 ივლისს კანადაში ჩავიდა გენერალ ეიზენჰაუერი.

გასამხედროებული მოჭიდაობის სპორტი

გუშინ, 16 ივლისს, დილის 9 საათზე ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე შესდგა გასამხედროებული მოტოგადარბენის — თბილისი-ერევანი-თბილისი სტარტი.

სტარტის წინ მოედანზე შემოვიდნენ გადარბენის მონაწილეთა მანქანები, რომლებიც ნახევარწრედ განლაგდნენ ტრიბუნასთან. გადარბენის მონაწილეთა გასაცილებლად სტარტზე თავმოყრილ მშრომელთა მიტინგი გახსნა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. თ. სხირტლაძემ, რომელმაც გადარბენის მონაწილეთა მიმართა სიტყვით. საპასუხო სიტყვით გამოვიდა მოტოგადარბენის მონაწილე ამხ. ფედოროვი, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს ფიზკულტურელები, აღნიშნავენ რა ფიზკულტურელთა საკავშირო დღეს, კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად და ვერაგი მტრის—ჰიტლერელი ფაშისტი ავაზაკების გასანადგურებლად.

გადარბენაში მონაწილეობს 40 მოტოციკლისტი. სტარტის კომანდორია ამხ. გ. აკოფოვი, კომანდორის თანაშემწე პოლიტნაწილში—ამხ. ვ. ნავრუზაშვილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

№ 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მმართველობის განყოფილებას ესაჭიროება
ბუხალტრები და **მოანგარიშეები**
წინადადებით მიმართეთ: ნინოშვილის ქ. № 8, მთავარ ბუხალტერს.

მშობლები აგრაფინა, რომანი იუწყებიან
გოგი (გოგიტა) მაღრაძის
გარდაცვალებას. გამოსვ. 17/VII, 5 ს. ანდრეევის, 4. 1511

მზეერავი შოთა კოშკაძე

დიდი სიხარული ეწვია ამას წინათ მოხუცებულ ბესარიონ კოშკაძის ოჯახს. ფრონტიდან, შორეული ყუბანიდან მოკლე წერილი მიიღო. მასში მხედრულად უბრალოდ და მოკლედ ეწერა:

„თქვენმა შვილმა უფროსმა სერჟანტმა შოთა კოშკაძემ თავი ისახელა, როგორც სამშობლოს ერთგულმა შვილმა. ის ჩვენი ნაწილის ერთ-ერთი საუკეთესო მზვერავია. მებრძოლები ამ მამაცდილებაზე სწავლობენ ჰიტლერელი არამზადებისათვის დარტყმას. რამდენიმე ხნის წინათ შოთამ გულადობა ჩაიდინა. ის შევარდა ფაშისტთა ბლინდაჟში, ბოსამ რამდენიმე გერმანელი და რუმინელი, ხოლო ერთი ოფიცერი დაატყვევა და მოიყვანა ნაწილის შტაბში. სარდლობამ თქვენი შვილი დაჯილდოვა მედლით „მამაცობისათვის“. გმადლობთ, ბესარიონ ივანეს-ძევ, ჩვენი სამშობლოს მამაცი დამცველის აღზრდისათვის“.

დიახ, ყოველი მამისათვის სასიამოვნოა ასეთი წერილის მიღება! ბესარიონ კოშკაძე უსაზღვრო სიხარულს განიცდიდა.

* * *

ხომ არაფერი საერთო არ არის მზვერავის პროფესიასა და მონტიორის პროფესიას შორის. მაგრამ კოშკაძე ორივეა. წარსულში ის საელმავლო დეპოს მონტიორი იყო.

მამაცი მზვერავის ბავშვობა საინტერესო თავგადასავლებით არის სავსე. გამბედავ ბავშვს უყვარდა წიგნი. გადაიკითხავდა რუსთაველის შაირს და ოცნებობდა გმირობაზე, ისეთ რაინდულ თავდადებაზე, როგორიც არის ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობა. მას სურდა გამზდარიყო ისეთივე უშიშარი, როგორიც იყვნენ უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ ეს გმირები.

1937 წელს შოთა კოშკაძე მოხალისედ შეეიდა წითელი არმიის რიგებში, დიდხანს სწავლობდა სამხედრო საქმეს. და როცა დადგა ჟამი სამშობლომ იგი ბრძოლაში გაგზავნა.

ფრონტზე შოთა კოშკაძე მივიდა სერჟანტად, ათეულის მეთაურად, მაგრამ მას სხვა რამ უნდოდა.—მინდა მზვერავი ვიყო!—სთქვა მან. და სარდლობამაც დაკმაყოფილა მისი თხოვნა.

მალე მზვერავი კოშკაძე წარჩინებული ადამიანი გახდა ნაწილში. ბნელ, უმთვარო ღამეებში შეიპარებოდა ის ფაშისტთა თავდაცვის წინა კიდეში, მიხოხდებოდა ახლოს მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტილებთან და ბლინდაჟებთან. კარგი მეხსიერება აქვს შოთას, იგი ყოველთვის ზუსტად იხსომებს მტრის საცეცხლე წერტილის განლაგებას, ფაშისტი მხეცის ბუნაგის ფარულ მისადგომებს. შოთას მიერ მოტანილი ცნობებით მეთაურს ყოველთვის ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა მტერზე.

* * *

ნაწილი ემზადებოდა იერიშისათვის, მეთაური გულდასმით აგროვებდა ცნობებს მტრის ძალებზე. მან გამოუძახა უფროს სერჟანტ კოშკაძეს და უთხრა:—უნდა ეცადო, რადაც უნდა დაგიჯდეს, ხელთ იგდო „მოენე“, თუ შესაძლებელია, სჯობს — ოფიცერი.—არის ხელთ ვიგდო „მოენე“, ამ